გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2022 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**
(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

სამოქალაქო სექტორის ჩართულობა ზუგდიდის მუნიციპალური სოციალური პროგრამებისა და სერვისების განვითარებაში.

2. **თემატიკა:**
(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

მუნიციპალური სოციალური პროგრამების მონაწილეობითი დაგეგმვა, მუნიციპალური სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ეფექტიანობის და ხელმისაწვდომობის გაზრდა;

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**
(მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობა).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**
(ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში (ფართობი–692 კვ.კმ), მისი დასავლეთი საზღვარი გაუყვება შავი ზღვის სანაპიროს (განმუხური, ანაკლია), ჩრდილო–დასავლეთით აფხაზეთის ადმინისტრაციული ზოლი (გალის რაიონი), ჩრდილოეთით და ჩრდილო–აღმოსავლეთით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის, აღმოსავლეთით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის, სამხრეთით კი, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიები ესაზღვრება. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდი სამეგრელო ზემო–სვანეთის მხარის ადმინისტრაციული ცენტრია.

აღსანიშნავია, რომ ზუგდიდი დევნილი მოსახლეობის კომპაქტური ჩასახლების მხრივ ყველაზე დიდი ცენტრია თბილისის შემდეგ. ამასთან მოსახლეობის სიმჭიდროვის მხრივ ქ. ზუგდიდი სამეგრელოში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა

ადმინისტრაციული ცენტრი: **ზუგდიდი**

ადმინისტრაციული ერთეული – 53.

მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის – 339 კმ.

მოსახლეობა დევნილთა ჩათვლით – 161351

ქალაქის მოსახლეობა– 64571

სოფლების მოსახლეობა –96780



ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
ადმინისტრაციული ერთეულების დაყოფით

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური ახორციელებს 70ზე მეტ ქვეპროგრამას, სერვისსა და პროექტებს. პარალელურად, ყოველდღიურ რეჟიმში ხდება მოქალაქეთა მიღება; კომისიური გასვლები სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში(53); ასევე სამოქალაქო სექტორის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე. სწორედ, ერთერთი (შიდა) ძლიერი მხარე გახლავთ კვალიფიციური კარდრები, რომელთაც აქვთ დაგეგმვის; დროის მართვის; კომუნიკაციის უნარი, როგორც მოქალაქეებთან, ასევე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან; საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში აქტიურად მუშაობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის და საპროტოკოლო საკითხთა განყოფილება, სოციალური დაცვის მუნიციპალური პროექტებისთვის ჩვენ ვცდილობთ, ჩვენი რესურსებით მოვიძიოთ დამატებითი ფონდები, გრანტები. დონორი ორგანიზაციები ხშირ შემთხვევაში გვიკავშირდებიან ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის მეშვეობით, რაც თავის მხრივ მოქალაქეთა აქტიურ ჩართულობაზე მიუთითებს.

ძლიერ ფაქტორად მიგვაჩნია, სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში სამოქალაქო სექტორის, საინიციატივო ჯგუფების, თემის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის შექმნილი გარემო, რომელიც იძლევა თვითმმართველობასთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს.

ასევე, აღსანიშნავია, რომ სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბიუჯეტი არის მზარდი წლიდან წლამდე, რაც გვაძლევს შესაძლებლობას მეტი პროგრამა და მომსახურება მივაწოდოთ ჩვენს მოქალაქეებს.

- **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საკმაოდ აქტიურად ოპერირებენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, საინიციატივო ჯგუფები. ხშირ შემთხვევაში, დონორი ორგანიზაციების პირდაპირი მოთხოვნაა არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ჰქონდეთ ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან მხარდაჭერა (მერის მხარდაჭერის წერილი ან ფულადი თანამონაწილეობა). ეს ფაქტიც განაპირობებს ადგლობრივი სამოქალაქო სექტორის მონდომებას ითანამშრომლონ თვითმმართველობასთან და ჩაერთონ მუნიციპალური სოციალური პროგრამების/სერვისების დაგეგმვაში.

6. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;
- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი

*საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად: „ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს **მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა,** ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.“*

აქედან გამომდინარე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას იყვნენ ჩართულები, მიიღონ აქტიური მონაწილეობა, როგორც მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის, ასევე მონიტორინგის მიმართულებით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება, სოციალური დაცვის საკითხებში, მიმართავს მოქალაქეთა ჩართულობის შემდეგ მოდელებს:

„სოციალურად დაუცველი ოჯახების და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება“

ზუგდიდში ხორციელდება 50-ზე მეტი სოციალური დაცვის პროგრამა, თუმცა ყველა საჭიროებას, რა თქმა უნდა, ვერ ფარავს. აქედან გამომდინარე, შეიქმნა სპეციალური პროგრამა, სადაც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა თავიანთი ინიციატივა შესთავაზონ ადგილობრივ

თვითმმართველობას შემდეგი პროგრამის ფარგლებში - „სოციალურად დაუცველი ოჯახების და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება“.

წარსული გამოცდილება: პროგრამის დანერგვამდე გვიწევდა რთული ეტაპების გავლა. არ იყო თანადაფინანსებისთვის თანხა გამოყოფილი მუნიციპალურ ბიუჯეტში. თანხის გამოსაყოფად საჭირო იყო მერიის გადაწყვეტილების მიმღები პირების დარწმუნება და თანხმობა, თავისუფალი თანხის მოძიება, საკრებულოს სხდომაზე განხილვა და გადაწყვეტილება, რომელიც რამოდენიმე თვე გრძელდებოდა, რაც აფერხებდა სამოქალაქო სექტორთან, საინიციატივო ჯგუფებთან და მოქალაქეებთან თანამშრომლობას. პროგრამის დანერგვით შეიქმნა სამოქალაქო სექტორთან სტაბილური და ოპერატიული თანამშრომლობის სისტემა.
სოციალურად დაუცველი ოჯახების და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამის დანერგვით შეიქმნა მდგრადი მუნიციპალური სერვისები.
ამასთან, მერიამ აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტიდან დახარჯული მცირე თანხით მიიღო გარკვეული ქონება: ინვენტარ-მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები, ტექნიკა და კეთილმოწყობილი სივრცეები, რომლითაც დღემდე სარგებლობს სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში ადგილობრივი მოსახლეობა.

სამოქალაქო სექტორის ჩართულობით, სოციალური დაცვის მიმარულებით, მნიშვნელოვანი ინვესტიციები:

ხანდაზმულებზე მზრუნველი მობილური ჯგუფი

ხანდაზმულთა დღის ცენტრი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახი“

ოჯახში ძალადობის კრიზისული ცენტრი

„თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისი“

2 წლიანი კომუნიკაციის შემდეგ აშშ-ს უსაფრთხოების დარგში თანამშრომლობის ოფისის (USSCO) მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას, სოციალური დაცვის პროგრამისთის, საჩუქრად, გადაეცა 3 ადაპირებული მიკროავტობუსი - მოდელი Ford Transit Kombi. აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირებისთვის უნიკალური სერვისის „**თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისი** - საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალური მობილურობა“ 2023 წლისთვის დანერგვისთვის. https://www.facebook.com/zugdidi.gov.ge/posts/pfbid0R4mE6oEy57rnQG474BTTnN43MAPCJ6BnVQEheoZRfAUZCEZqpjHj46yLV3X9qRYfl

აღსანიშნავია, რომ ამ პროექტების დაგეგმვის პროცესში მიმდინარეობდა მუდმივი კომუნიკაცია მოქალაქეებთან, სამოქალაქო სექტორთან.

- https://www.facebook.com/zugdidi.gov.ge/posts/pfbid06E7h977pjZyfvApPKSXnmM6ED8rcnxRAdYKx2PXTqpyyGiRCYPn5GzktbZcgHDE7l
- https://www.facebook.com/zugdidi.gov.ge/posts/pfbid0PA2LW4JPsKj6r3cYbt8wQrKJ2izi4NxJL86orqEyrHUBfvov5pF5ug2UypnPpLsLl

მოზიდული ინვესტიციის ჯამური თანხაა:

- ✓ 256 527 ლარი და 207 102 ამერიკული დოლარი.
  ჯამში დაახლოებით 835 000 ლარზე მეტი. აღნიშნული ქონება რეგისტრირებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე.
- ✓ აღნიშნული ინვესტიციებით ყოველწლიურად საშუალოდ 900-მდე ბენეფიციარი სარგებლობს.

<u>სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითებზე მომუშავე კომისიები, დროებითი სამუშაო ჯგუფები და ფოკუსჯგუფები</u>

- **უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისია**
  კომისია განიხილავს სოციალური დაცვის პროგრამის - „უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართიტ უზრუნველყოფა“ ფარლებში შემოსულ განაცხადებს სახლის მშენებლობისა და რემონტის თაობაზე.

- **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქალაქეთა სოციალური დახმარების თაობაზე შემოსული განცხადებებისა და მომართვების საფუძველზე სოციალური მდგომარეობისა და პირობების შესწავლის მიზნით შექმნილი კომისია**
  კომისია განიხილავს სხვადასხვა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების მიერ შემოტანილ განცხადებებს, როგორიცაა ბინის ქირა, უფასო სასადილო, მომვლელის საჭიროების მქონე პირთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა, სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების დახმარება და სხვა.

- **უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისია**

  კომისია განიხილავს სოციალური დაცვის პროგრამის „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“ ფარგლებში განსახილველ საკითხებს. მაგალითად, როგორიცაა საცხოვრისში უსახლკაროთა დაბინავება.

- **სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების კომისია**

  კომისია განიხილავს სამოქალაქო სექტორისგან შემოსული საპროექტო განაცხადების თანადაფინანსების საკითხს, რომელიც მიმართულია სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერისკენ.

- **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისია კომისია**
  კომისიის მიზანია ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო უწყებებთან კოორდინირება, კონკრეტული შემთხვევების განხილვა და სხვა.
  მეტი გამჭვირვალობისთვის, ზემოაღნიშნულ კომისიებში წარმოდგენილია, როგორც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ასევე, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები (რომელთაც ირჩევენ კენჭისყრის გზით სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები).

როდესაც მუნიციპალიტეტი გეგმავს კონკრეტულ მოწყვლად ჯგუფზე ახალი პროგრამის დანერგვას ხდება ადგილობრივი მოქალაქეების ჩართულობა. იგეგმება ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრები.

თვითმმართველობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობა და შერეული კომისიები კარგი პრაქტიკაა, როგორც პასუხისმგებლობის გადანაწილების, ასევე მეტი გამჭვირვალობისა და სანდოობის კუთხით.

7. **განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:**
   (გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- **პროექტის შინაარსი;**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების რაოდენობის (50ზე მეტი მიმართულება, რომლის მიმღებია სხვადასხვა საჭიროების მქონე მოქალაქე) მიუხედავად

შეუძლებელია მუნიციპალურმა პროგრამებმა დაფაროს ყველა საჭიროება და ყველა გამოწვევა, რაც დგას ადგილობრივ დონეზე, აქედან გამომდინარე 2015 წელს შეიქმნა პროგრამა - „სოციალურად დაუცველი ოჯახების და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება“, რომელიც წლიდან წლამდე დაიხვეწა.

ზემოაღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალური ბიუჯეტიდან ფინანსურ მხარდაჭერას, - 5000 ლარამდე თანადაფინანსების სახით. პროგრამის ფარგლებში მუშაობს სპეციალური კომისია: „სოციალურად დაუცველი ოჯახების და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების კომისია“, რომელიც აერთიანებს ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო, აღმასრულებელ ორგანოებს და სამოქალაქო საზოგადოების წევრებს.

უშუალოდ პროგრამის სტრუქტურა შემდეგნაირია:

პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების კომისიის დებულება, საპროექტო განაცხადის ფორმა, შინაარსობრივი და ფინანსური ანგარიშის ფორმა. (დანართები)

დაინტერესებულ მხარეს შეუძლია მიიღოს მერიაში კონსულტაცია საპროექტო განაცხადთან დაკავშირებით. ფორმები განთავსებულია, ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (https://zugdidi.gov.ge/).

მერიაში შემოსული საპროექტო განაცხადი რეგისტრირდება სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილებაში, რომელიც წარედგინება განსახილველად შესაბამის კომისიას. კომისიის პირველ ნაწილს ესწრება განმცხადებელიც. შემდეგ კი - კომისიის წევრები განიხილავენ და გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს ეცნობება წერილობით. წერილი იგზავნება, როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაშიც.

2022 წელს გაიმართა კომისიის 7 სხდომა, სადაც განიხილა 12 საპროექტო განაცხადი და დადებითად გადაწყდა 7 წარმოდგენილი წინადადება. ჯამში ისარგებლა 247-მა მოქალაქემ, რომელბიც არიან სხვადასხვა მოწყვლადობის მქონე.



- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი** (გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);

სოციალურად დაუცველი ოჯახების და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა, ასევე, არის იმით უნიკალური, რომ დაინტერესებულ მხარეს **საბიუჯეტო წლის ნებისმიერ დროს შეუძლია მოგვმართოს.** თუმცა, უნდა გაითვალისწინოს, რომ პროექტის განხორციელებაც უნდა დასრულდეს მიმდინარე საბიუჯეტო წლის პერიოდში. ხოლო, უშუალოდ თანადაფინანსებულ საპროექტო განაცხადებს, ყველას გააჩნია განხორციელების ვადები, ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკები.

- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი** (მუნიციპალიტეტის რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტები, განვითარების გეგმა, ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, შეხვედრის ოქმები, ინსტრუქციები და ა.შ.). *<u>აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;</u>*

პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ბმულების ჩამონათვალი:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება, 2021 წლის 2 დეკემბერი. ქ.ზუგდიდი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5297619?publication=0
2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წერილი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების შერჩევისა და წარმოდგენის თაობაზე (დანართი1).
3. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების შერჩევის პროცესი:
   2021წ
   https://www.facebook.com/ncce.ge/posts/pfbid02yH8RepM8BsKPzAxD8hMpAsfXKUrPXpdxBDfHwvt5ooyX61hd8GS176WpnyrPkkaLl

2022წ
https://www.facebook.com/ncce.ge/posts/pfbid02nZcXExsXAAjG4U1xZtJKiNMFyL7dNoXt8SSJSG7CYv5dLMasQ5k28i7FG7vmX7VYl

4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება „სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების კომისიის შექმნის შესახებ“ (ბრძანების ბოლო ვერსია) (დანართი 2)
5. სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების კომისიის დებულება (დანართი3)
6. დაფინანსებული პროექტების(ნაწილი) შესახებ სოც.ქსელში გამოქვეყნებული მასალა:
   - „ახალგაზრდების როლი სოციალურ მეწარმეობაში“
   https://www.facebook.com/YSD.GE/posts/pfbid0s5AxXaMv34qQAPabLQyD8Q32BuTesbSNFLfo3zgSyN3dodvtDBMb5KwtcPAEHEGKl

   https://www.facebook.com/megobar.ge/posts/pfbid0uBAGZC3GryuhWt7ESPoYLaJmiGzUrLP4YwHgTwGFbvBHQTvWJq5j5XAidpN7Yddwl

   - „ქალთა ფსიქო-სოციალური და პროფესიული მდგრადობა“
   https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid036C9Xsn6TKYZHM46MLweqCEAhYn61JTznNsQSHvj1d1L8CvNDrMTGnZvJ2Bg7FjAMl&id=100086580267980

   https://www.facebook.com/watch/?v=449234454040521

   - „ქალთა საინფორმაციო და ფსიქო-საგანმანათლებლო სივრცე“
   https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid0jtKPoEBGHkkbQBxpynECXk4Brysgf2Fh8Zyc34snBnttzcruSbsdGhA9exKoLpTbl&id=100066695204594

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) **ჩართულობის შესახებ;**

მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო სექტორიდან კომისიის წევრთა შერჩევა ხდება შემდეგნაირად: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისგან ეგზავნება ოფიციალური წერილი დემოკრატიული ჩართულობის ცენტრს, რათა მათი ორგანიზებით მოხდეს წევრთა შერჩევა და წარდგენა მერიის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილებისთვის.

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი უწევს ორგანიზებას შეხვედრას, რომელიც იყოფა ორ ნაწილად: **პირველი:** მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის წარმომადგენლები და პროგრამის კოორდინატორი აკეთებენ პრეზენტაციას, თუ რას ითვალისწინებს აღნიშნული პროგრამა და რა ევალება კომისიის წევრს, ასევე, პროგრამის ფარგლებში რა პროექტები განხორციელდა მერიის მხრიდან.

მეორე: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები ტოვებენ აღნიშულ სივრცეს და სამოქალაქო სექტორის მიერვე, არჩევნების გზით, ხდება კომისიის კანდიდატ წევრთა შერჩევა. მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება ოფიციალურად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, რომლის შემდეგ გამოიცემა ბრძანება კომისიის წევრთა შესახებ. (ბმულები მითითებულია ზემო ქვეპუნქტის N3.)

თვითმმართველობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობა და შერეული კომისიები კარგი პრაქტიკაა, როგორც პასუხისმგებლობის გადანაწილების, ასევე მეტი გამჭვირვალობისა და სანდოობის კუთხით.

- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**

ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;
ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;
გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

იმისათვის, რომ პროცესები სწორად წარიმართოს, აუცილებელია კვალიფიციური კადრების ჩართულობა, როგორც საჯარო, ასევე, სამოქალაქო სექტორში.

რისი თქმის საფუძველსაც გვაძლევს „სოციალურად დაუცველი ოჯახების და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მოქალაქეთა საჭიროებებზე დაფუძნებული ეფექტური პროექტები.

რაც შეეხება, არასაკუთარ ადამიანურ, თუ ფინანსურ რესურსს, ადგილობრივი ორგანიზაციები (უმეტეს შემთხვევაში დონორების დახმარებით) არის ის ძალა, რაც სჭირდება ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას. ჩვენ გვაქვს სამოქალაქო სექტორის ინიცირებითა და დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით მუნიციპალური სერვისების დანერგვის არაერთი მაგალითი.

- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**

2020-2021 წლებში აღნიშნულ პროექტს არ ქონდა ხშირი მომართვიანობა 2 წლის მანძილზე ჯამში დაფინანსდა 7 საპროექტო განაცხადი, რაც განაპირობა COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ. (აღსანიშნავია, რომ 2019 წელს 9 აპლიკანტს დაუფინანსდა პროექტი). მიმდინარე წელს განხილული 12 საპროექტო განაცხადიდან 7 დაფინანსდა, თუმცა მომავალ წელს ვგეგმავთ აქტიურ საინფორმაციო კამპანიას ამ პროგრამის ფარგლებში, რათა კიდევ უფრო მეტმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მიიღონ მონაწილეობა.

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**

კომისიის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები:
ა/ო "კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ცენტრის "დამფუძნებელი - მზისადარ ფიფია;
ა/ო "გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და განათლების ცენტრის" დამფუძნებელი - მარინა ბენდელიანი (სოციალური მეწარმე)

მიმიდნარე წელს თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში პროექტი განახორციელა:

ა(ა)იპ „საქართველოს უსინათლოთა კავშირი“ სამეგრელოს ფილიალი;
რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი - "თანაზიარი";
ა(ა)იპ "ახალგაზრდები სამეგრელოს განვითარებისთვის";
ასოციაცია "მერკური";
ა(ა)იპ „ქალთა სექტორი“;
ა(ა)იპ „პროგრესული სივრცე“;
კავშირი - „ნერგები“
პროექტის ფარგლებში თანამონაწილეობით შექმნილი პროექტები:

PIN Georgia, EU
“თანაზიარი“ – ASB
Mercy Corps
ქალთა საკონსულტაციო ცენტრი “შახლი“ – UNDP
USSCO - “თანაზიარი“

- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:
(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

მიღწეული შედეგი:

- ✓ ადგილობრივ საინიციატივო ჯგუფებს გაუჩნდათ სურვილი მისცენ სამართლებრივი ფორმა თავიანთ საქმიანობას და შექმნან ორგანიზაციები. მიიღონ მონაწილეობა სოციალური ფონის გაუმჯობესებაში და ხელი შეუწყონ ზუგდიდის მინიციპალიტეტის განვითარებას.
- ✓ პროგრამა ერთგვარი მოტივაციის მიმცემია მოქალაქეებისთვის. ხელს უწყობს ახლადდაფუძნებულ სამოქალაქო ორგანიზაციებს შეიქმნან პოზიტიური ისტორია. თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობასთან დადებითად აისახება დონორებთან შემდგომი ურთიერთობისთვის.
- ✓ **დამატებითი შესაძლებლობა** სამოქალაქო სექტორისთვის. მათ მიერ ხდება მოქალაქეთა საჭიროებების დადგენა, კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფის გამოყოფა, რომელზეც ქმნიან პროექტს და თავად ახორციელებენ(თანადაფინანსების შემთხვევაში) მუნიციპალიტეტში.
- ✓ **სოციალური საწარმოების ხელშეწყობა,** რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივების სოციალურ კეთილდღეობას და ამასთანავე სახელმწიფოსთვის დოვლათის მომტანია;
- ✓ სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის მუნიციპალური პროგრამების მიმღებთა სპექტრის გაფართოება;
    - სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება;
    - **ქალთა** ფსიქო-სოციალური **მხარდაჭერა** და თვითდასაქმებისა და დასაქმების ხელშეწყობა;
    - შშმ პირთა რესოციალიზაცია;
    - ხანდაზმულთა ღირსეული სიბერე;

- ✓ სოციალური დაცვის მიმართულებით მდგრადი სერვისების დანერგვა(მატერიალური ბაზა);
- ✓ სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების დანერგვისა და განხორციელების პერიოდში მაქსიმალური გამჭვირვალობა.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:
(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

აღნიშნული მუნიციპალური პროგრამა არაერთხელ იქნა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებისთვის გაზიარებული, როგორც საინფორმაციო შეხვედრებზე ასევე, ინდივიდუალურად ზუმ პლათფორმის მეშვეობით.

თანადაფინანსების პროგრამა ხელს შეუწყობს თვითმმართველობას ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში.

პროგრამა არის მოქნილი, არ საჭიროებს დიდ თანხებს. შესაძლოა, თავდაპირველად მთელი საბიუჯეტო წლის მანძილზე, მუნიციპალიტეტებმა არა 10 საპროექტო განაცხადის თანადაფინანსების თანხა

გაითვალისწინონ(როგორც ჩვენს შემთხვევაში), არამედ კონკრეტული მუნიციპალიტეტის ფინანსური შესაძლებლობის მიხედვით.

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);

ინფორმირებულობა პროექტის არსებობის თაობაზე, ბიუჯეტი, მომართვიანობა, საპროექტო განაცხადების ობიექტური შერჩევა, განხორციელების მონიტორინგი, შედეგების შეჯამება და ანალიზი.

- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):

ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;
ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება;
გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;
დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;

ყოველ წელს, უმეტესად განსხვავებული საპროექტო განაცხადები ფიქსირდება, მუნიციპალიტეტმა შეუძლებელია ყველა მოწყვლადი ჯგუფის მხარდაჭერა შეძლოს, აქედან გამომდიანრე უპირატესობა ენიჭება ისეთ სერვისს ან ისეთ სამიზნე ჯგუფზე მორგებულ პროექტს რომელსაც მუნიციპალიტეტი არ ახორციელებს.
მიმდინარე წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თანადაფინანსების პროგრამებისთვის გათვალისწინებული იყო 50 000 ლარი.
არაერთ საინფორმაციო შეხვედრაზე, ანგარიშების წარდგენისა თუ სოციალური პროგრამების პროექტის წარდგენისას, მოსახლეობის მხრიდან აღინიშნებოდა თანადაფინანსების პროგრამის მოწონება და დადებითი შეფასება.
2023 წლის ბიუჯეტში აღნიშნული პროგრამისთვის გათვალისწინებულია 50 000 ლარი.

10. **საკრებულოს როლი:**
    - **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
    - **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
    - **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას/ფრაქციას წარედგინება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსახორციელებელი სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის პროგრამები განსახილველად და დასამტკიცებლად. სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამების უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევები არ დაფიქსირებულა.
მიმდინარე წელს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები არიან თანადაფინანსების კომისიაში და აქტიურად ჩართული არიან განხილვის პროცესებში.

11. **პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**

პირველად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2015 წლიდან დაინერგა აღნიშნული პრაქტიკა, თუმცა წლიდან წლამდე ხდებოდა მისი დახვეწა. მიმდინარე წელს, ვგეგმავთ სამოქალაქო სექტორის ჩართულობით განვიხილოთ კომისიის დებულება, საპროექტო განაცხადის ფორმები.

12. **საკონტაქტო ინფორმაცია:**

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);

- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.

გოგი რევია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი. ტელ: 595322402 gogirevia@gmail.com

თამარ ჩიქავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი. ტელ: 555650050 tamarachikava@gmail.com

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

ბ)პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);

გ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითერბის გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;

გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

კომისიის სხდომის მიმდინარეობის ფოტო მასალა:

https://www.facebook.com/zugdidi.gov.ge/posts/pfbid02G8tRwHkRUVQ2h9enhfVTpFWY8NP9C74V8vFMHQHUhoSkpfbThr2EFqhgZdzWHqTal

https://www.facebook.com/zugdidi.gov.ge/posts/pfbid02Q8hii27GG52xv9KpycZM8Xr9NjpQGs37KfzZgUFU5sMvExjEByWtDuEXu6HsYeVYl

https://www.facebook.com/zugdidi.gov.ge/posts/pfbid0BiTr1tArwBBL2eaTs3rcnsgHrhcSHTcgJuMmJcZ9oinXeKXkvi3eERadka24umxMl

https://www.facebook.com/zugdidi.gov.ge/posts/pfbid02i5urNFkZLTcwBL8jteu7Uya96LVXETauS5iZeFFv4CznqGJbQkKuztp7sMKi9h2Vl

დანართები:

(ასევე მითითებულია მეშვიდე პუნქტში)

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება, 2021 წლის 2 დეკემბერი. ქ.ზუგდიდი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5297619?publication=0
2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წერილი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების შერჩევისა და წარმოდგენის თაობაზე **დანართი 1.**
3. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების შერჩევის პროცესი:

2021წ

https://www.facebook.com/ncce.ge/posts/pfbid02yH8RepM8BsKPzAxD8hMpAsfXKUrPXpdxBDfHwvt5ooyX61hd8GS176WpnyrPkkaLl

2022წ

https://www.facebook.com/ncce.ge/posts/pfbid02nZcXExsXAAjG4U1xZtJKiNMFyL7dNoXt8SSJSG7CYv5dLMasQ5k28i7FG7vmX7VYl

4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება „სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების კომისიის შექმნის შესახებ“ (ბრძანების ბოლო ვერსია) **დანართი 2**
5. სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების კომისიის დებულება. **დანართი 3**

დაფინანსებული პროექტების (ნაწილი) შესახებ სოც.ქსელში გამოქვეყნებული მასალა:

- https://www.facebook.com/YSD.GE/posts/pfbid0s5AxXaMv34qQAPabLQyD8Q32BuTesbSNFLfo3zgSyN3dodvtDBMb5KwtcPAEHEGKl
- *https://www.facebook.com/megobar.ge/posts/pfbid0uBAGZC3GryuhWt7ESPoYLaJmiGzUrLP4YwHgTwGFbvBHQTvWJq5j5XAidpN7Yddwl*
- *https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid036C9Xsn6TKYZHM46MLweqCEAhYn61JTznNsQSHvj1d1L8CvNDrMTGnZvJ2Bg7FjAMl&id=100086580267980*
- *https://www.facebook.com/watch/?v=449234454040521*
- https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid0jtKPoEBGHkkbQBxpynECXk4Brysgf2Fh8Zyc34snBnttzcruSbsdGhA9exKoLpTbl&id=100066695204594

განაცხადის მიღების ვადაა 2022 წლის 20 ოქტომბერი- 28 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

* **შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 5 95 57 77 34 nzurabishvili@nala.ge ან ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge